პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი.

№ 116 (2479) ● კვირა, 14 ივნისი, 1964 წ. ● ფასი 3 კაპ.

## ფინალის კარიბჭესთან

ბაქო, 13 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. უკვე ჩაიარა ხუთმა წრემ.

**მჩატე წონაში** მესამე წრემდე ჩვენი რესპუბლიკის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი — ყვარელაშვილი მივიდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონ იბრაჰიმოვთან (აზერბაიჯანი) წმინდად წაგების შემდეგ ბრძოლას საერთოდ გამოეთიშა. მეოთხე წრეში იბრაჰიმოვი მოულოდნელად დამარცხდა (ქულებით) ერევნელ მუშეღიანთან. მიუხედავად ამ გამარჯვებისა, მუშეღიანმაც დატოვა ტურნირი (რადგან მასაც 8 საჯარიმო ქულა დაუგროვდა). მეხუთე წრეში იბრაჰიმოვმა დაამარცხა კირიუხინი (მოსკოვი). მესამე წრეში დამარცხების შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი გაბსატაროვიც (ყაზახეთი). ამ წონაში I ადგილის რეალურ შანსებს ინარჩუნებს იბრაჰიმოვი.

**მსუბუქ წონაში** ბრწყინვალედ ჭიდაობს კაეველი ტუგანოვი. მესამე წრეში მან დაამარცხა ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი გაჯიევი (ორჯონიკიძე), მეოთხეში — წმინდად მოუგო უკრაინელ მატახერს და მხოლოდ მეხუთე წრეში ესტონელ ედელასთან ჭიდაობისას მიიღო 3 საჯარიმო ქულა (ორივე მეტოქეს წაგება ჩაეთვალა). მესამე წრეში ქარსაულიძემ ოდნავ გამოისწორა მდგომარეობა — მცირე უპირატესობით დაამარცხა ტატარკინი (კიევი). მაგრამ შემდეგ ბრძოლაში იგი ასეთივე შედეგით თვით დამარცხდა (ედელასთან). მარტყოფლიშვილმა უმნიშვნელო უპირატესობით ძლია შემარულინს (ლენინგრადი), მომდევნო წრეში კი წააგო იაბლოკოვთან.

მსოფლიო ჩემპიონმა **ქვესაშუალო წონაში** სალარაძემ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო. ჯერ მან ქულებით ძლია ცხოვრებოვს, შემდეგ კი წმინდად მოუგო ასლამაზიშვილს (1,6 წუთში) და ნებიერიძეს (8 წუთში). ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, მე-9 წუთზე ბეჭებზე დასცა ლენინგრადელი ანდრეევი. ჯიუტად მიიწევს ოქროს მედლისკენ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პრიზიორი აქსიონოვიც (მინსკი). მესამე წრეში მან წმინდად მოუგო უკრაინელ შაველხოვს. შემდეგ ქულებით დაამარცხა ცხოვრებოვი (საქართველო) და ესტონელი გრიუნმანი. I ადგილის ბედი, როგორც ჩანს, სალარაძისა და აქსიონოვის ორთაბრძოლაში გაირკვევა.

რთული ვითარებაა **ქვემძიმე წონაში**. დამარცხების სიმწვავე აქ თითქმის ყველა სპორტსმენმა იწვნია. სპარტაკიადის ჩემპიონმა აიხანოვმა (ყაზახეთი) ლენინგრადელ ზადოროჟნისთან და ესტონელ ლიივასთან ქულებით გამარჯვების შემდეგ ერთბაშად სამი საჯარიმო ქულა მიიღო (აზერბაიჯანელ პოპოვთან ბრძოლაში ორივეს დამარცხება მიესაჯა). კარგი მდგომარეობა აქვს გოგიბედაშვილს, რომელმაც ორი უკანასკნელი შეხვედრა წმინდად მოიგო — გზირიშვილთან (მე-2 წუთზე) და ლენინგრადელ დანილოვიჩთან (მე-4 წუთზე).

ხვალ, 14 ივნისს, გაიმართება დასკვნითი ბრძოლები.

## ოლიმპიური სტატისტიკა

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს 80 სახელმწიფოს 7.500 სპორტსმენი. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციები იაპონიაში საბჭოთა კავშირიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩავლენ. ყველაზე მცირერიცხოვანი იქნება მონაკოს დელეგაცია, რომელიც შედგება... 1 შტანგისტისაგან.

ოლიმპიური თამაშების პროგრამის სახეობებიდან ყველაზე „მრავალეროვანი" იქნება მძლეოსანთა ასპარეზობა: მასში მონაწილეობას მიიღებენ 66 ეროვნების წარმომადგენლები. რინგზე გამოვლენ 49 ქვეყნის მოკრივეები. ცურვაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან 37 სახელმწიფოს სპორტსმენები, ხოლო სიმძიმეთა აწევაში—36 ქვეყნის შტანგისტები.

◆ **პარიზი**, 13 ივნისი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე დღეს საფრანგეთის ნაკრებმა ამანათრბენში 4×100 მ აჩვენა 39,3. ეს შედეგი ევროპის ოფიციალურ რეკორდზე 0,1 წამით უკეთესია.

◆ ამსტერდამი, 13 ივნისი. საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის გადადებული პარტიების დამთავრებისას ლარსენის შეხვედრა ტრინგოვთან და პახმანის — ბენკოსთან ყაიმით დამთავრდა. რელიგიური მოსაზრებების გამო დღეს რეშევსკი განთავისუფლებული იყო თამაშიდან. მისი შეხვედრა სპასკისთან შედგება 14 ივნისს. გუშინვე, შესვენების შემდეგ, XVIII ტურის პარტიების დამთავრებისას ბრონშტეინმა მოუგო როსეტოს, პორტიშმა — კვინონესს.

◆ იტალია. ამ ქვეყნის საფეხბურთო თასის გათამაშების მეოთხედფინალში „ტურინმა" დიდი ანგარიშით (4:1) დაამარცხა მილანის „ინტერნაციონალე". აღსანიშნავია, რომ მილანელთა შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასის მხოლოდ ორი მფლობელი (ჟაირი და მილანი) გამოდიოდა. „ტურინი" ნახევარფინალში შეხვდება „იუვენტუსს".

◆ **შვეიცარია**. აქ დაიწყო ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა, რომლის ტრასა (1.268 კმ) 7 ეტაპადაა დაყოფილი. შეჯიბრებაში 7 ქვეყნის 63 სპორტსმენი მონაწილეობს. ორი ეტაპის შემდეგ რბოლას ლიდერობს რ. მაურერი. იტალიელები ი. ძილიოლი და ფ. ბალმამიონი ლიდერს 30 წამით ჩამორჩებიან.

◆ შვეცია. დევისის თასის მეოთხედფინალში (ევროპის ზონა) ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და იტალიის გუნდები. პირველ დღეს ლუნდკვისტმა (შვეცია) დაამარცხა ტაკინი — 6:3, 6:1, 6:3, ხოლო პიეტრანჯელიმ (იტალია) — შმიდტი — 6:3,6:3, 4:6, 6:1.

◆ ჟენევა, 13 ივნისი. აქ დამთავრდა კალათბურთელთა წინასაოლიმპიადო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის 14 სახელმწიფოს გუნდები. ოლიმპიური საგზურები მიიღეს უნგრეთისა და ფინეთის კალათბურთელებმა. ახლა უკვე ცნობილია ტოკიოს ტურნირის 14 მონაწილე — სსრ კავშირი, იაპონია, იტალია, იუგოსლავია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია, პარაგვაი, პუერტო-რიკო, პერუ, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, უნგრეთი და ფინეთი. კიდევ ორ მონაწილეს გამოარკვევს აზიის ქვეყნების შესარჩევი ტურნირი.



ლენინგრადში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება ველოტრეკზე.

სურათზე — სპრინტერული რბოლის მომენტი. მსოფლიო ჩემპიონი გ. ერმოლაევა (მარცხნივ) და სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ი. კირიჩენკო (უკრაინა).

## ჩვენი კონკურსი

### ვინ გამოვა გამარჯვებული „ტოკიოს წინასწარმეტყველთა" შორის?

ოთხ თვეზე ნაკლები დრო დარჩა ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების გახსნამდე. რაც უფრო ახლოვდება იგი, მით უფრო მძლავრად ისმის ოლიმპიური სამზადისის მაჯისცემა. ჟურნალ-გაზეთებისა და სააგენტოების ცნობებში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა წინასაოლიმპიადო შეჯიბრებებს, ტოკიოში გამგზავრების კანდიდატთა მაჩვენებლებს, შესაძლებელ ფავორიტებს ოქროს მედლებისათვის ბრძოლებში. დაბოლოს, სულ უფრო კონკრეტული ხდება ინფორმაცია იაპონიის დედაქალაქის მზადების შესახებ მსოფლიოს სპორტსმენთა ამ უდიდესი ფორუმისათვის.

წინასაოლიმპიადო სულისკვეთება იგრძნობა ყველგან! იგი იგრძნობა... ჩვენს სარედაქციო ფოსტაშიც.

რედაქციაში უამრავი „ოლიმპიური ხასიათის" წერილი და შეკითხვა შემოდის. დღითიდღე იზრდება ჩვენი მკითხველების ინტერესი ტოკიოს მომავალი თამაშებისადმი. ეს სრულიად გასაგები და კანონზომიერი მოვლენაა. სხვაც რომ არა, ჩვენს რესპუბლიკას ხომ ასეთი სასახელო ოლიმპიური ტრადიციები აქვს და მის სპორტსმენებსაც ღირსეული წვლილი შეუტანიათ იმ დიდ გამარჯვებებში, რომლებიც საბჭოთა წარგზავნილებმა მოიპოვეს ჰელსინკში, მელბურნსა და რომში!

მსოფლიოს ბევრ ქვეყანას როდი შეუძლია დაიტრაბახოს ოლიმპიური ჩემპიონებისა და პრიზიორთა ისეთი რიცხვით, როგორიც ჩვენს რესპუბლიკას აქვს. რაც შეეხება საკავშირო მასშტაბებს, ამ თვალსაზრისით საქართველო პირველობას უთმობს მხოლოდ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას.

12 წლის წინათ, საბჭოთა სპორტსმენების ოლიმპიური დებიუტის წელს, მოძმე რესპუბლიკების წარგზავნილთა შორის საქართველოს 12 წარმომადგენელი იყო. მათგან 8 ჰელსინკიდან მედლებით დაბრუნდა. მოჭიდავე დ. ციმაკურიძე, ძალოსანი რ. ჩიმიშკიანი და ტანმოვარჯიშე მ. ჯუღელი თამაშების ჩემპიონებად მოგვევლინენ, მძლეოსანმა ლ. სანაძემ, კალათბურთელებმა ო. ქორქიამ და ნ. ჯორჯიკიამ ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს, ხოლო მძლეოსნები ნ. დუმბაძე და ნ. დვალიშვილი „ბრინჯაოს" პრიზიორები გახდნენ.

4 წლის შემდეგ ავსტრალიის ქალაქ მელბურნში, რომელიც იმ დროს XVI ოლიმპიური თამაშების დედაქალაქიც გახდა, 10 ქართველი სპორტსმენი ჩავიდა. და ისევე როგორც ჰელსინკში, მათ მიერ მოპოვებული იქნა 8 ოლიმპიური ჯილდო. მოჭიდავეები გ. კარტოზია და მ. ცალქალამანიძე „ოქროთი" დაგვიბრუნდნენ შინ, ხოლო მძლეოსანი ნ. დვალიშვილი, წყალბურთელი ნ. გვახარია, მოცურავე ბ. ნიკიტინი, მოჭიდავეები ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე და რ. ძნელაძე — „ბრინჯაოთი".

ქართველ სპორტსმენთა ჯგუფი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო რომის XVII ოლიმპიურ თამაშებზე. და არა მარტო მრავალრიცხოვანი, არამედ „ბარაქიანიც"! ჩვენი რესპუბლიკის 16 წარგზავნილიდან 10-მა მოიპოვა მედლები და ჩვენი ქვეყნის დელეგაციას 54 ჩასათვლელი ქულა მისცა. ჩემპიონთა დაფნის გვირგვინით შეიმოსნენ მძლეოსანი რ. შავლაყაძე და მოჭიდავე ა. ქორიძე. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ მოჭიდავე გ. სხირტლაძეს, წყალბურთელებს ლ. გოგოლაძესა და გ. ჩიქვანაიას, კალათბურთელებს გ. მინაშვილსა და ვ. უგრეხელიძეს. ბრინჯაოს მედლები ჩამოიტანეს მოჭიდავეებმა გ. კარტოზიამ და ვ. რუბაშვილმა, მოფარიკავე გ. კოსტავამ.

დღეს, როცა უკვე XVIII ოლიმპიადის ზღურბლზე ვდგავართ, ჩვენი თანამემამულე „რომის გმირებიდან" ზოგიერთი ისევ ემზადება შორეული მგზავრობისთვის. მათ რიცხვში არიან შავლაყაძეც, ჩიქვანაიაც, გოგოლაძეც, კოსტავაც. მინაშვილიც და ბევრი სხვ. საქართველოდან ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. მათი რიცხვი ხომ 42-ს აღწევს! საინტერესოა აქვე შევიტყოთ, რომ ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა ისევ მხოლოდ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას ჩამორჩება.

უეჭველია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ოლიმპიელთა მიერ მოხვეჭილი ნადავლი ტოკიოს სტარტების შემდეგ ახალი მედლებით შეივსება. მაგრამ ჩვენ ყველაფრის წინასწარმეტყველებასა და იმის გარკვევას არ ვკისრულობთ, თუ ვინ აალწევს საბჭოთა და კერძოდ, საქართველოს ოლიმპიელთაგან გამარჯვებულთა კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე და ვინ დადგება მის მეზობლად. ჩვენ გვსურს ეს მისია „ლელოს" მკითხველებს დავუთმოთ.

**ჩვენი გაზეთის რედაქცია აწყობს წინასაოლიმპიადო კონკურსს სპორტის მცოდნეთათვის და მასში მონაწილეობისთვის მოუხმობს ყველას!**

ჩვენი კონკურსის შეკითხვები მხოლოდ საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლებს არ შეეხება.

დღეს ვაქვეყნებთ შეკითხვებს. აი, ისინიც:

1. დაასახელეთ ტოკიოს ოლიმპიადაზე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ სამ ადგილზე გამოსული ქვეყნები.
2. ვინ გაიმარჯვებს მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში და რა იქნება მისი შედეგი სამჭიდის ჯამში?
3. ვინ მოიპოვებს სსრ კავშირის მოკრივეთაგან ოლიმპიურ ოქროს მედლებს?
4. დაასახელეთ ფეხბურთში ოლიმპიური ტურნირის ნახევარფინალისა და ფინალის მონაწილენი, აგრეთვე გამარჯვებული გუნდი.
5. საქართველოს სპორტსმენთაგან ვინ მოიპოვებს ოლიმპიურ მედლებს?
6. ვინ გახდება ჩემპიონი 10.000 მეტრზე რბენაში?
7. რამდენ ოქროს მედალს მოიპოვებენ საბჭოთა მძლეოსნები?
8. დაასახელეთ ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში.
9. დაასახელეთ ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებიც გახდებიან პირველი ოლიმპიური ჩემპიონები ფრენბურთში.
10. როგორ განაწილდება ექვსი პირველი ადგილი წყალბურთელთა ტურნირში?
11. რომელი ქვეყნის გუნდი გაიმარჯვებს ტანვარჯიშში ვაჟთა შორის?
12. რა შედეგებს მოიპოვებენ საქართველოს სპორტსმენები კლასიკურ ჭიდაობაში?
13. როგორ განაწილდება სამი პირველი ადგილი კალათბურთელთა ტურნირში?
14. ვინ მოიგებს სპრინტერულ რბოლას ველოტრეკზე?
15. როგორი შედეგი ექნება გამარჯვებულს სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის?

ყოველი სწორი და ამომწურავი პასუხისთვის დაიწერება 3 ქულა, ხოლო სწორი, მაგრამ არასრული პასუხისთვის — 1. კონკურსში გამარჯვებისთვის აუცილებელია ქულათა მეტი რაოდენობის დაგროვება მისი ყველა ტურის შედეგების მიხედვით. პრიზების დამსახურებისთვის აუცილებელია ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის სულ ცოტა 50 პროცენტის დაგროვება.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

I პრიზი — კინოაპარატი.

II პრიზი — ფოტოაპარატი.

III პრიზი — მაჯის საათი.

პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1 ოქტომბერი (ფოსტის ბეჭდის მიხედვით).

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: **თბილისი — 8, ლენინის ქუჩა № 14, გაზეთ „ლელოს" რედაქცია. კონვერტს წაწერილი უნდა ჰქონდეს: „ოლიმპიური კონკურსისათვის"**. წერილში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული გამომგზავნის გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია და მისამართი.

# XVI ტრადიციული...



ს უ რ ა თ ზ ე: რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე მოსწავლეთა შორის — თბილისელი ნ. ჟიგალოვა.

ფოტო ბ. კამენსკისა.

## მოხსნილია 14 წლის რეკორდი

გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა გუშინ მძლეოსანთა ასპარეზობა: თბილისის პირველი გუნდის წევრმა გალინა კონონენკომ 100 მეტრზე რბენაში აჩვენა 12,2 წამი და პირველი თანრიგი შეასრულა. ეს შედეგი 0,1 წამით აღემატება 1950 წელს ნ. ხნიკინას (დვალიშვილის) მიერ დამყარებულ რეკორდს 15-16 წლის გოგონებისათვის.

## თბილისელები — ჩემპიონები

ხელბურთი წელს პირველად იქნა შეტანილი მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში. პირველად გამოვლინდება მოსწავლეთა შორის ჩემპიონი საკავშირო სპარტაკიადაზეც. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასპარეზობა დიდ ინტერესს იწვევდა.

გოგონათა 8 გუნდი ორ ქვეჯგუფად იყო დაყოფილი. ქვეჯგუფებში გამარჯვებული კოლექტივები მოსწავლეთა შორის ჩემპიონის წოდებისათვის ერთმანეთს ხვდებოდნენ. ასე ნაწილდებოდა დანარჩენი ადგილებიც. პირველ ქვეჯგუფში აშკარა იყო თბილისის პირველი გუნდის ხელბურთელთა უპირატესობა დანარჩენ მეტოქეებზე. მათ „მშრალი" ანგარიშით დაამარცხეს სამხრეთ ოსეთის მოსწავლეები — 22:0, დიდი ანგარიშით მოუგეს ფოთელებს—19:4 და დასჯაბნეს რუსთაველები — 13:1. მეორე ქვეჯგუფში 2-2 მოგებით დაამთავრეს შეჯიბრება აფხაზეთისა და ქუთაისის ხელბურთელებმა. უპირატესობა პირველებს მიენიჭათ, რადგან მათ მოგებული ჰქონდათ მატჩი ქუთაისელებთან. პირველობისათვის ბრძოლაში თბილისელებმა ძლიეს აფხაზეთის ხელბურთელებს — 10:4 და სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელებს, რომლებმაც ამ ადგილისათვის ბრძოლაში მოუგეს ფოთელებს — 8:5.

ჭაბუკებიც ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ქვეჯგუფებში ყველა შეხვედრა მოიგეს თბილისის პირველმა და მეორე გუნდებმა. მათ შორის გამარჯვებული რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი ხდებოდა. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვების სასწორი თბილისის პირველი გუნდის ხელბურთელთა მხარეზე გადაიხარა — 29:23. მესამე ადგილზე აქაც ქუთაისელები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მოუგეს რუსთაველ სპორტსმენებს — 28:23.

## რუსთავის პარკის ტბაზე

ნიჩბოსანთა შეჯიბრება გაიმართა რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკის ტბაზე. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, მცხეთის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავისა და დუშეთის გუნდები. პროგრამაში შედიოდა გაცურვები მხოლოდ ერთ და ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე, აგრეთვე ამანათგაცურვა 4×500 მეტრზე.

ერთადერთი საინტერესო გამოდგა გოგონების ფინალი ერთადგილიანი ნავებით ასპარეზობაში. სოხუმელ ვ. ტურკოვსკაიას, რომელიც თითქმის ფინიშამდე ლიდერობდა, უკანასკნელ მეტრებზე ნავი გადაუბრუნდა და იძულებული გახდა ჩემპიონობა რუსთავის გუნდის წევრ ნ. მიტკოვეცისთვის დაეთმო — 2.29,7.

საერთოდ, ტურნირი აღინიშნა მასპინძლების უპირატესობით. მათ პროგრამის 6 სახეობიდან ხუთში დაისაკუთრეს პირველი ადგილი და მხოლოდ ერთში—ორადგილიანებით ვაჟთა შეჯიბრებაში დაკმაყოფილდნენ მეორე ადგილით.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსთავი, 2. ფოთი, 3. აფხაზეთი. თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ თბილისის I და II გუნდები. მათ შესაბამისად მეოთხე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს.

**გაზეთ „ლელოს" ბრიგადა.**

## დამთავრდა ბრძოლა „რიგის პრიზზე"

**რიგა, 13 ივნისი.** ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა ტრადიციული ასპარეზობა ლატვიის დედაქალაქის პრიზზე, როგორც ცნობილია, ამავე დროს წინასაოლიმპიადო შეჯიბრებად გვევლინება.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს სპორტსმენებმა კვლავ აჩვენეს მაღალი შედეგები. თ. ბაბინცევამ 800 მეტრი გაირბინა 2 წუთსა და 4,4 წამში, რაც მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩება საბჭოთა კავშირის რეკორდს.

ჩვენი ქვეყნის რეკორდი — 3.8,06 — 4×400 მეტრზე ამანათრბენში გამეორებულ იქნა არმიელთა გუნდის (არხიპჩუკი, ბიჩკოვი, ფროლოვი, ანისიმოვი) მიერ. 400 მეტრზე თარჯრბენში კიეველმა ვ. ანისიმოვმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა 51,1 წამში.

## ზედ ფინიშის ხაზთან

გაიმართა აჭარის პირველობა საგზატკეცილო რბოლაში. შეჯიბრების მონაწილეებს 65-კილომეტრიანი დისტანცია უნდა დაეფარათ. სტარტიდან ველოსიპედისტები ქალაქის ქუჩების გავლით გაუყვნენ აჭარის გზატკეცილს. თავიდანვე დაწინაურდა ოთხი სპორტსმენი — ო. ნიშნიანიძე, ნ. დიტკოვსკი, ვ. შუკლინი და ვ. მუცენკო. პირველი მოსახვევი ამ ოთხეულმა ერთნაირი შედეგით დაძლია. მაგრამ შემდგომში ლიდერთა ჯგუფს გამოაკლდა მუცენკო.

ფინიშს ო. ნიშნიანიძე და ნ. დიტკოვსკი ერთდროულად უახლოვდებოდნენ. და მხოლოდ უკანასკნელ მეტრებზე უფრო გამოცდილმა ნიშნიანიძემ საკონტროლო ხაზი მეტოქეზე ადრე გადაკვეთა.

**მ. კირაკოსიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

# მიზეზები არ ელევათ...

თბილისელი ცურვის მოყვარულები მაინცდამაინც განებივრებული არ არიან პირველხარისხოვანი ბაზებით. ორი ღია აუზი სანაპიროზე და ორთაჭალაში და ორიც დახურული — „დინამოსა" და „შრომითი რეზერვებისა". აი, ის ოთხი ნაგებობა, სადაც მასობრივად შეიძლება სპორტის ამ საინტერესო სახეობაში „ნათლობის" მიღება და შემდეგ, ტექნიკის სრულყოფა.

დედაქალაქში ცურვის შემდგომი განვითარების ამოცანებმა, თუნდაც ერთი ისეთი სადემონსტრაციო აუზის აუცილებლობამ, სადაც წლის ყოველ დროს შეიძლებოდა წვრთნისა და დიდი მასშტაბის ღონისძიებათა გამართვა, დღის წესრიგში დააყენა 50-მეტრიანი დახურული აუზის მშენებლობის საკითხი, აუზისა, რომელსაც ექნებოდა წყალში სახტომი დანადგარები, ტრიბუნები, დამხმარე სათავსოები და ოთახები.

და აი, რამდენიმე წლის წინათ, „ბურევესტნიკის" სტადიონის მახლობლად დაიწყო აუზის სამშენებლო სამუშაოები. დადგენილი იყო ნაგებობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადაც. იგი კარგა ხანია მიიწურა. „მთავთბილმშენის" მე-2 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი გ. ჩუბინიშვილი) სამუშაოთა გაჭიანურების გასამართლებელი მიზეზები არ გამოელია. ბევრჯერ წავიდნენ დათმობაზე დამკვეთი ორგანიზაციები. გადავადება მოხდა ერთხელ, მეორედ, მესამედ...

მშენებლებმა იფიქრეს: ასე ხომ უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს... და მინიმუმამდე შეანელეს მუშაობის ტემპი. საჭირო გახდა საქმეში ზემდგომი ორგანოების ერთხელ კიდევ ჩარევა. მაშინ კი დაფაცურდნენ მშენებლები, იერიში მიიტანეს აუზის გარე ხედზე, გადაწყვიტეს მაისის დღესასწაულისთვის მოემთავრებინათ გარე სამუშაოები და კიდეც შეასრულეს სიტყვა.

ნაგებობა ახლა „გარედან მტერს უყენებს თვალს", შიგნიდან კი...

აი, რა გვიამბო საქართველოს სპორტკავშირის მთავარმა ინჟინერმა გ. გვილავამ:

— მშენებლები ვერაფრით დაგვემდურებიან. ისინი უზრუნველყოფილნი არიან ყველაფრით — სახსრებით, სამშენებლო მასალით, სამუშაო ნახაზებით. გასაკეთებელი კი საკმარისზე მეტია. ცდება აუზის შიგნით აღმართული ხარაჩოები. მცირერიცხოვანი მუშახელი ვერ ასწრებს აუზის მოპირკეთებას, ტრიბუნების მოწყობას. არ ფიქრობენ ელექტროგაყვანილობაზე, წყალში სახტომი ნაგებობანი მხოლოდ ჩონჩხშია. დღევანდელი ტემპით სამშენებლო ორგანიზაცია აუზის საექსპლოატაციოდ გადაცემას ვერ შეძლებს 1 სექტემბერსაც. ეს კი უკანასკნელი ვადაა.

საინტერესოა, რას იტყვის მე-2 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ამხ. გ. ჩუბინიშვილი?

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — აუზის შენობა გარედან; მარჯვნივ — აუზის შიდა ხედის დღევანდელი სახე.

# ვიწრო სპეციალიზაცია, თუ მრავალმხრივობა?

**დ ავიწყებას** მიეცა დრო, როდესაც ჩრდილოამერიკელები „მოდების კანონმდებლებად" ითვლებოდნენ კალათბურთში. დღეს მათ აშკარად უჭირთ მოწინავე პოზიციებზე დგომა და თუ ჯერჯერობით მაინც ინარჩუნებენ პრიორიტეტს, ეს საწინააღმდეგო ძალთა აბსოლუტური თანაფარდობის პირობებში ხდება.

ამას ჩინებულად გრძნობენ ამერიკელები, გრძნობენ და გამოსავალს შემოქმედებით ძიებაში პოულობენ. მსოფლიო კალათბურთის ჰეგემონები არ ერიდებიან სხვათა გამოცდილების გაზიარებას. ამერიკელებთან ამხანაგური შეხვედრები, სადაც ჩვენ მორჩილი მოსწავლეების როლში გამოვდიოდით, გენერალური ბრძოლის წინ ძალთა სერიოზულ შემოწმებად გადაიქცა. ყველაფერი ეს პრინციპული სიახლეა და მას გაგება უნდა.

ს. სპანდარიანი თავის სტატიაში „ორივე მხარე მოგებული დარჩა" („სოვეტსკი სპორტი" № 124) მოგვითხრობს, რომ მოსკოვში ამერიკელთა თამაშის სანახავად ჩამოსულ საბჭოთა მწვრთნელებს არაფერი ჰქონდათ სასწავლიო. ეს, რა თქმა უნდა, სიბეცეა, რადგან სასწავლი სწორედ რომ იყო. საქმე ისაა, რომ ჩვენ უკვე მოსწავლეთა მერხებზე არ ვსხედვართ და რომ სწავლება, პირველ რიგში, მეტოქის შესწავლას ნიშნავს.

სპანდარიანის აზრით, ამერიკელებისგან შეიძლებოდა გადმოგვეღო სროლისა და დრიბლინგის ტექნიკის რამდენიმე უმნიშვნელო დეტალი, აგრეთვე სათამაშო დისციპლინა. თავის აზრს იგი ასეთი საპროგრამო დასკვნით ამაგრებს: „ამერიკელებისგან წინათ რაც უნდა გვესწავლა და გადმოგვეღო, ათამდე საგაზეთო სტატიაში არ დაეტეოდა... ახლა კი... რისი თქმაც მსურს, თავისუფლად თავსდება ამ წერილში".

არა მგონია, რომ მწვრთნელის ასეთი განცხადება შესასწავლი საგნის სიღარიბით იყოს გამოწვეული. სპანდარიანმა ვერ დაინახა მთავარი, და სწორედ ესაა შეცდომის არსი. მას შეუმჩნეველი დარჩა ამერიკელთა მწვრთნელების მრავლისმეტყველი ტაქტიკური ძიებანი, სწორედ ის, რაც უმოკლეს ხანში თავს უნდა დაგვატყდეს.

**გ ადავხედოთ** უახლოეს წარსულს. ამერიკელებთან პირველმა შეხვედრებმა დაგვარწმუნეს, რომ ჩვენ არ გვყოფნის სიმაღლე (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). ამ დროიდან მოყოლებული, საბჭოთა კალათბურთმა აქცენტი „მაღალი სართულებისთვის" ბრძოლაზე გადაიტანა. მართალია, გზადაგზა ყურადღება ათლეტურ, ტექნიკურ და ტაქტიკურ პრობლემებსაც ექცეოდა, მაგრამ ქვაკუთხედად მაინც „ჰაერში ჰეგემონია" რჩებოდა.

ამ საკითხში ბევრს მივაღწიეთ. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელთა უპირატესობაზე უკვე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ საგულისხმო აქ ისაა, რომ ამერიკელები, როგორც ჩანს, ჩვენზე ადრე მიხვდნენ ამას და ხელი მიყვეს თამაშის გაძლიერების ახალი ტაქტიკური ვარიანტების ძიებას.

ამერიკაში საბჭოთა კალათბურთელების უკანასკნელმა ვიზიტმა უჩვეულო სიტუაცია წარმოშვა. ჩვენ გავიმარჯვეთ სიმაღლისთვის ბრძოლაში, ამერიკელებმა კი მოულოდნელად გააქტიურეს ტანდაბალ კალათბურთელთა („პატარების") თამაში. ზოგიერთ საბჭოთა მწვრთნელს მოეჩვენა, თითქოს ჩვენ ამერიკელები განვდევნეთ ფარქვეშეთიდან და სწორედ ამ მიზეზით მოვლენის ნოვატორული მნიშვნელობა სწორად არ იქნა ახსნილი.

საფიქრელი თითქოს არაფერი გვქონდა. ამერიკელებს წავართვით „მეორე სართული", რამაც მათთან გამარჯვების შესაძლებლობა მოგვცა. დასკვნაც თავისთავად კეთდებოდა: შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ სიმაღლის უპირატესობა. მაგრამ, ჩემი აზრით, ამერიკელები შეგნებულად ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, თითქოს ორთაბრძოლის ლეიტმოტივად კვლავინდებურად სიმაღლე რჩებოდა.

ამერიკის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის უკანასკნელმა ჩამოსვლამ ეს რწმენა თითქოს კიდევ უფრო მეტად განამტკიცა. საკუთარ მოედანზე გუნდმა ვერავინ დაუპირისპირა პეტროვს, კრუმინშს, ლეყავას და აი, მოსკოვში ჩამოსვლის წინ „აღმოჩენილ" იქნა ბერნსი, რომლის გამოცდა გუნდის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა.

სტუმრებმა მათთვის დამახასიათებელი კალათბურთი გვაჩვენეს: კალათზე შემტევი ლიდერით და ბურთის გამთამაშებელი „პატარებით". ასეთ პირობებში საგანგაშო არაფერი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბერნსმა დაჩაგრა ჩვენი ცენტრალური თავდამსხმელები: ბერნსის უპირატესობის კომპენსაციას ვოლნოვი და კორნეევი თავისუფლად ახერხებდნენ.

ვის აძლევდა ხელს ძალთა ამგვარი თანაფარდობა? ვფიქრობ, ამერიკელებს. კიდევ მეტიც. სპანდარიანი თავის წერილში თეორიულად ცდილობს უარყოს იმ ტაქტიკური ძიების არსებობა, რომელშიც პრაქტიკულად ამერიკელებმა უკვე ბევრი მოიმკეს.

# მომავალ ცვლას — მეტი ყურადღება!

## ყველგან არ ზრუნავენ ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდისათვის

სულ ახლახან დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება ფეხბურთში „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებულ მოსამზადებელ გუნდებსა და სპეციალიზებულ სკოლებს შორის საქართველოს ზონაში.

შეჯიბრებაში მონაწილე 12 გუნდი დაყოფილი იყო 2 ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა თბილისის „დინამოსა“ და ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდებს შორის. დინამოელებმა 9 ქულით (ბურთების სხვაობა 25-2) დაიკავეს I ადგილი და მთავარი მეტოქე ჩამოიტოვეს 1 ქულით (ბურთების სხვაობა 14-5). მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „შრომითი რეზერვები“ (თბილისი), „მეტალურგი“ (რუსთავი) და „ალაზანი“ (გურჯაანი).

მეორე ქვეჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის „ლოკომოტივი“. ნორჩმა რკინიგზელებმა მოაგროვეს 7 ქულა (ბურთების სხვაობა 16-2). 6 ქულით მეორე ადგილზეა ფოთის „კოლხიდა“. ამდენივე ქულა აქვთ გაგრის ნორჩ ფეხბურთელებს, მაგრამ ბურთების უარესი სხვაობის გამო ისინი მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ. შემდეგ არიან ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის წარმომადგენლები.

განვლილი შეჯიბრების ანალიზი ცხადყოფს, რომ მთელ რიგ კოლექტივებში სათანადო სერიოზულობით უყურებენ ოსტატთათვის მომავალი შემცვლელი თაობის აღზრდას. კარგის მეტი არაფერი შეიძლება ითქვას თბილისის „დინამოს“, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლისა და „ლოკომოტივის“, აგრეთვე ფოთის „კოლხიდისა“ და გაგრის საფეხბურთო სკოლის შესახებ. ბავშვებთან მუშაობა აქ პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნიათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. რუსთავის „მეტალურგში“, ქუთაისის „ტორპედოში“, ბათუმისა და სოხუმის დინამოელთა კოლექტივებში პასუხისმგებლობის სრული გრძნობით არ ეკიდებიან ნორჩ ფეხბურთელთა მომზადების საქმეს, რაც ნათლად ემჩნევა ამ გუნდების თამაშსაც. როგორც ოსტატთა გუნდების მწვრთნელები, ისე ადგილობრივი სპორტკავშირების ხელმძღვანელებიც გულგრილად ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს და არ ზრუნავენ საკუთარი მარქაფიდან პერსპექტიული მოთამაშეების აღზრდისათვის. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ოსტატთა კოლექტივების მწვრთნელთა შემადგენლობა აქ იფარგლება მხოლოდ მოზრდილებთან მუშაობით, ხოლო ბავშვების მომზადება ღვთის ანაბარად აქვს მიტოვებული.

ზოგიერთ კოლექტივში მიზნად გაიხადეს სახსრების ეკონომია სწორედ ამ მოსამზადებელი ჯგუფების ხარჯზე და თავიანთი მოზარდების პირველი გუნდებისათვისაც კი არ ემეტებათ თანხები სპორტული ფორმის შესაძენად. კიდევ მეტიც, რუსთავის „მეტალურგში“ ამ „მომჭირნეობის“ საფუძველზე ბავშვთა გუნდებთან შეთავსებით მუშაობს ქ. ნაზაროვი, რომელიც ამავე დროს „მეტალურგის“ მოზრდილთა გუნდის მწვრთნელიცაა. სოხუმის „დინამოში“ მოთამაშეთა ერთი ნაწილი გამოდის როგორც ჭაბუკთა შორის, ისე რესპუბლიკის პირველობაზეც, რის გამოც სასწავლო მეცადინეობა მოსამზადებელ ჯგუფში ფაქტიურად ჩაშლილია.

ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც ხშირად უცვლიან მწვრთნელებს, რომელთაგან ბევრს არა აქვს ბავშვებთან მუშაობის უნარი. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდაზე.

22-26 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონის ცენტრალურ მინდორზე დაიწყება საქართველოს ზონის ფინალური გათამაშება თბილისის „დინამოს“, „ლოკომოტივის“, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლისა და ფოთის „კოლხიდის“ ფეხბურთელთა მონაწილეობით. პირველ ორ ადგილზე გამოსული გუნდები უფლებას მიიღებენ ითამაშონ საკავშირო ასპარეზობის ნახევარფინალში.

**დ. ცომაია,**
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მთავარი მწვრთნელი.

**ბ. პაიჭაძე,**
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური კომისიის თავმჯდომარე.

# დანიელ ფეხბურთელთა რეპეტიცია

ევროპის თასის ნახევარფინალურ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქე — დანიის ნაკრები მთელის მონდომებით ემზადება ბარსელონაში შეხვედრისთვის. დანიელებმა ამ დღეებში ამხანაგური საწვრთნელი თამაში გამართეს „კაიზერსლაუტერთან“ (გფრ). შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. დანიელთაგან გოლი გაიტანა ფროსტმა. მატჩის შემდეგ დანიის ნაკრების მწვრთნელმა პ. პედერსენმა დაასახელა 17 კანდიდატი გუნდისა, რომელიც ბარსელონაში ეთამაშება სსრ კავშირის ნაკრებს. ესენი არიან: მეკარე ნილსენი (იგი პირველად გამოჩნდა უძლიერესთა სიაში); მცველები — ი. ჰანსენი, კ. ჰანსენი, ბ. ჰანსენი; ნახევარმცველები — ლარსენი, ნილსენი; თავდამსხმელები — ბერტელსენი, ფროსტი, მადსენი, სოერენსენი, დანიელსენი. სათადარიგო მოთამაშეები არიან რასკი, ხარტვიგი, ამდისენი, იორჰენსენი, რასმუსენი, სონდერგორდი.

## ჩვენი მოწინავე მწვრთნელები



# ნოდარ გვახარია

წყალბურთელთა ეს მატჩი მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლების ბედს წყვეტდა. ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. ტრიბუნებზე ბლომად იყვნენ მეტოქეთა გულშემატკივრები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გერმანელი ტურისტები, რომლებიც დაუცხრომელი ყიჟინითა და სხვადასხვა მუსიკალური საკრავებით ამხნევებდნენ თავისიანებს. მაგრამ ამ ხმაურიანმა მხარდაჭერამ დასავლეთ გერმანიის სპორტსმენებს ვერ უშველა. მათ შეხვედრა წააგეს ანგარიშით 4:6. გერმანელმა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს საბჭოთა გუნდის ერთ თავდამსხმელს, რომელიც უკანასკნელი 3 ბურთის ავტორი გახდა.

ეს იყო ნოდარ გვახარია, — გუნდის სული და გული. მან გამოცდილ პეტრე მშვენიერაძესთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი გუნდის მესამე საპრიზო ადგილზე გამოსვლაში...

ნოდარ გვახარიამ მთელი თავისი ჭაბუკობა სწავლასა და წყალს დაუკავშირა. წყალს იმიტომ ვამბობთ, რომ ბავშვობიდან ცურვამ და წყალბურთმა გაიტაცა...

... 1946 წლის ზაფხული. ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი. მორიგ მეცადინეობას ატარებს მწვრთნელი ლ. იოაკიმიდი. როცა ვარჯიში მორჩა და ბავშვები გასახდელში შეცვივდნენ, მწვრთნელთან ბიჭუნა მივიდა, მაგრამ სირცხვილისგან ენა ჩაუვარდა — ერთი სიტყვაც ვერა თქვა. მწვრთნელი მიხვდა ყველაფერს, მხარზე ხელი დაჰკრა და მეორე დღისთვის ვარჯიშზე მიიწვია ბიჭუნა.

ასე გადადგა ნოდარმა პირველი ნაბიჯი სპორტში, რომელიც შემდეგ მისი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. ლ. იოაკიმიდიმ ამ ახალგაზრდაში იმდენი ნიჭი და მონდომება ჰპოვა, რომ დამატებითი ვარჯიშებიც კი დაუნიშნა.

მუყაითმა შრომამ შედარებით მალე გამოიღო ნაყოფი: წლინახევრის შემდეგ ნ. გვახარია უკვე რესპუბლიკის ჩემპიონია მოსწავლეთა შორის სხვადასხვა მანძილზე ცურვაში, 1952 წელს კი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უკვე მოზრდილთა შორის ხდება ჩემპიონი. მისი საყვარელი სპორტული სახეობის გარდა რესპუბლიკის ჩემპიონს სხვაც იტაცებდა. მეცადინეობის შემდეგ იგი დიდხანს უყურებდა წყალბურთელთა თამაშს. შემდეგ ამ სახეობამ ისე გაიტაცა, რომ სპორტული ბედი მთლიანად წყალბურთს დაუკავშირა. არც შემცდარა: გულმოდგინე, დაჟინებული მეცადინეობის წყალობით იგი სულ მალე ჩვენი ქვეყნის ნაკრების წამყვანი მოთამაშეა.

გერმანია, იტალია, უნგრეთი, რუმინეთი, ჰოლანდია, ბელგია, ავსტრალია. აი, ქვეყნები, რომელთა წყალბურთის გულშემატკივრები აღტაცებაში მოჰყავდა სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის — ნოდარ გვახარიას საუცხოო თამაშს.

ბრწყინვალე გამარჯვებებში გადიოდა წლები, მაგრამ ჟამმა თავისი გაიტანა და ნ. გვახარია სამწვრთნელო სამუშაოზე გადავიდა. აქაც წარმატება ხვდა წილად. თბილისის „დინამო“ მისი ხელმძღვანელობით მალე ჩადგა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდების მწყობრში. ბრინჯაოსი და ვერცხლის მედლები, პირველი ადგილი საკავშირო შეჯიბრებაზე, — ასეთია ამ ნიჭიერი კოლექტივის რამდენიმე წლის განმავლობაში მოპოვებული სპორტული ნადავლი.

ამას წინათ დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის ყოველი ტურის წინ ნ. გვახარია ბლოკნოტით ხელში ჩამოჯდებოდა შეჯიბრების მონაწილეთათვის განკუთვნილ სკამზე. იგი დიდი გულმოდგინებით აკვირდებოდა თვითეულ წყალბურთელს, შენიშვნებით ავსებდა უბის წიგნაკის ფურცლებს. იგი ხომ ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელიცაა და თბილისის „დინამოს“ საპრიზო ადგილზე გასვლის გარდა, მას საბჭოთა ოლიმპიური გუნდის ბედიც აწუხებდა. გუნდი საგრძნობლად უნდა გაეახალგაზრდავებინა, ახალი, ნიჭიერი სპორტსმენებით დაეკომპლექტებინა, რადგან ოლიმპიური ვერცხლი წელს ოქროზეა „გადასაცვლელი“.

ნოდარ გვახარიას მაყურებლები მხოლოდ მაშინ შეამჩნევენ, როცა პერიოდი დამთავრდება და მწვრთნელი სკამიდან წამოდგება, აუზის ერთი კუთხისკენ გაემართება, იქითკენ. სადაც მისი აღსაზრდელები იკრიბებიან და მერე გულდასმით უსმენენ დაკვირვებული და გამჭრიახი მწვრთნელის მითითებებსა და რჩევა-დარიგებას. ეს ასეც უნდა იყოს. ხომ სწორედ ნოდარ გვახარიას ნაყოფიერი საქმიანობით მოიპოვა თბილისის „დინამომ“ ბოლოდროინდელი სასახელო გამარჯვებები? გუნდში აღიზარდნენ მსოფლიო კლასის მოთამაშეები ლ. გოგოლაძე და გ. ჩიქვანაია, სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის კანდიდატები ვ. სანაძე და ვ. რომანოვი.

და განა მარტო წყალბურთელთა სპორტული ოსტატობის ამაღლებითაა დაინტერესებული მწვრთნელი. იგი აღსაზრდელისგან პირველ ყოვლისა მოითხოვს კეთილსინდისიერებას, განათლებას, პატიოსნებასა და ვაჟკაცური იდეალების სიყვარულს.

მრავალ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობაში სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, ამჟამად მოწინავე მწვრთნელი, შესანიშნავი მოქალაქე და ამხანაგი. ასე ახასიათებენ ნოდარ გვახარიას სპორტსმენები, წყალბურთის გულშემატკივრები, მისი მეგობრები... ჩვენ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მათ.

**ზ. ჯანდიერი**

• • •

**სურათზე:** საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის წუთშესვენების დროს ნოდარ გვახარია რჩევა-დარიგებას აძლევს თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდს.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

---

**ა**მერიკაში ჩვენი უკანასკნელი ვიზიტის დროს მასპინძლები ქულებს „პატარების“ დახმარებით აგროვებდნენ. ჩვენში კი ძირითადად შეტევის წინა ხაზით. ერთიც და მეორეც იერიშის იმ კომპლექსის ნაწილებს წარმოადგენენ, რომელსაც ამერიკელები ამჟამად ამუშავებენ და რომლის შინაარსი რატომღაც ტურნეს დასასრულს, ქართველ კალათბურთელებთან შეხვედრაში გახსნეს.

ჩვენთვის გაუგებარია, რატომ გამოააშკარავა მაკლენდონმა ტოკიოსთვის გამზადებული საიდუმლოება (ტაქტიკური იარაღი) უკანასკნელ მატჩში. მაგრამ ეს მისი ნება იყო და, ბოლოსდაბოლოს, ამას რა მნიშვნელობა აქვს? იქნებ, მწვრთნელს ამდენი წაგება უბრალოდ მობეზრდა კიდეც.

ასეა, თუ ისე, ამერიკელებთან შეხვედრის პირველსავე წუთებზე ჩვენი კალათი ზურგის მოთამაშეთა — ბაურმენისა და ბრაუნის ინტენსიური „ცეცხლის“ ქვეშ მოექცა. „ცეცხლის ხაზი“ არ იყო მკვეთრად გამოსახული. ბურთები ჩვენს კალათში ცვიოდა როგორც დისტანციიდან, ისე უშუალოდ ფარქვეშ გავლის შედეგად. წარმოიქმნა ხუთივე ამერიკელის „ჩაკეტვის“ აუცილებლობა, რადგან ყოველი მათგანი ერთნაირად საშიში იყო როგორც გათამაშებაში, ისე შეტევის დამამთავრებელ ფაზაში.

ჩვენმა გუნდმა ეს ამოცანა ვერ გადაჭრა და სასტიკად დამარცხდა. არ არის გამორიცხული, რომ უფრო ძლიერი გუნდი აღნიშნულ ამოცანას გადაჭრიდა. დღეს ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. ყურადსაღები აქ ის იყო, რომ ამერიკელ კალათბურთელთა „უნივერსალიზმმა“ თამაშის საერთო დონე ერთბაშად ასწია. სპანდარიანი კი ამ ფაქტს არ იზიარებს.

იგი თვლის, რომ კოლექტიური თამაშის აზრი — გუნდის ყოველი წევრის მონაცემთა აქცენტირებაში მდგომარეობს. ამ არც მაინცდამაინც ორიგინალური ჭეშმარიტებით სპანდარიანის ტაქტიკური სიბრძნე მხოლოდ იწყება. სპორტული ბრძოლის რეალური პირობებიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ? ცხადია, ალაჩაჩიანს და მინაშვილს უფრო გაუადვილდებათ სადისპეტჩერო, ხოლო ვოლნოვსა და მოსეშვილს — სასნაიპერო მოვალეობათა შესრულება, თუ პირველნი, ამავე დროს, კარგი სნაიპერები, ხოლო მეორენი კარგი დისპეტჩერები იქნებიან.

თამაშის საერთო ხასიათს, როგორც წესი, აფუჭებს ის გარემოება, რომ „შტატიანმა“ სნაიპერმა აუცილებლად უნდა ესროლოს (და მთელი გუნდი საამისოდ ძაბავს ძალებს), ხოლო გამთამაშებელმა შეასრულოს თავისი ფუნქციები მაშინაც კი, როდესაც იგი საიმედოდაა ჩაკეტილი. მოთამაშეთა მრავალმხრივობა — აი, ერთადერთი სწორი გზა თანამედროვე კალათბურთში.

ს. სპანდარიანის მტკიცება მხოლოდ ცალკეულ მოთამაშეებს რომ ეხებოდეს, მას დავეთანხმებოდით კიდეც. მართლაც, სანამ ვოლნოვი არ დაეუფლება გამთამაშებლის საპასუხისმგებლო როლს, ხოლო ალაჩაჩიანი არ შეიძენს სნაიპერულ ჩვევებს, მრავალმხრივობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ ერთი რამ გვაინტერესებს: კარგია თუ ცუდი, რომ ჩვენი საუკეთესო გამთამაშებლები ვერ ისვრიან კალათში, ხოლო სნაიპერები ვერ ასრულებენ დისპეტჩერთა ფუნქციებს?

როგორ რევერანსსაც არ უნდა უკეთებდეს ს. სპანდარიანი მოთამაშეთა მრავალმხრივობას, იგი ფაქტიურად მისი მტერია. სპანდარიანი წინააღმდეგია, როდესაც ვოლნოვისგან მოითხოვენ ბურთის გათამაშებას, ხოლო გონებამახვილურ ალაჩაჩიანისაგან უფრო ხშირად და ზუსტად სროლას. საკვირველია, რა არის ამაში ცუდი?

**მ**ეტად უცნაურ სპეციალიზაციას გვთავაზობს სპანდარიანი. ერთნი ბურთს მხოლოდ ათამაშებენ, აწვდიან პარტნიორებს, უქმნიან მათ სროლისთვის შესაფერის პირობებს, მეორენი კი — ესვრიან. და თუ ეს ასეა, დაცვითი ფუნქციები ვიღას დავავალოთ? თურმე ნუ იტყვით, ყველას! მაგრამ ზოგიერთები დაცვაში რომ მოიკოჭლებენ, საჭიროა თუ არა მათი გამოსწორება? ეს კი თურმე საჭიროა! მაშ რატომ გამოთქვამს უკმაყოფილებას წერილის ავტორი იმ სამართლიანი ხმის მიმართ, რომელიც ზოგიერთებს სროლების გაუმჯობესებას მოუწოდებს, ხოლო ზოგიერთებს — გამთამაშებლის ფუნქციების შესწავლას? პირადად მე ეს ფაქტი მაოცებს.

თანამედროვე კალათბურთში იმას უნდა მივაღწიოთ, რომ როგორც დიდებს, ისე პატარებს (სიმაღლის მხრივ) სრულფასოვნად შეეძლოთ მცველების, დისპეტჩერების ან სნაიპერთა ამოცანების შესრულება. განა ცუდია, რომ ჩვენს ცენტრალურ თავდამსხმელებს შესწევდეთ უნარი დრიბლინგის, ფარქვეშ შესვლის და ბევრი კიდევ სხვა საჭირო რამის შესრულებისა ისე, როგორც მაგალითად ბერნსს?

შეიძლება შემოგვედაონ. მაშ რა ვუყოთ სათამაშო სპეციალიზაციას, რომლის საფუძველსაც თვითეული კალათბურთელის ნიჭის მაქსიმალური გამოყენება წარმოადგენს? სწორედ ამაშია საქმე. ვინა თქვა, რომ კალათბურთელთა სპეციალიზაცია უნდა მოხდეს, ვთქვათ, დაცვაში თამაშის, ან სროლების ნიშნით? ყოველი კალათბურთელის ვალია დროულად უპასუხოს თამაშის პროცესში წარმოქმნილ ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციას.

მაგალითისთვის ავიღოთ „დიდები“ და „პატარები“. ერთმანეთისგან ისინი იმით კი არ უნდა განსხვავდებოდნენ, რომ ზოგს სროლის უფლება აქვს, ზოგს კი არა. „პატარები“ უფრო შორიდან უნდა ისროდნენ, ისინი უფრო ხშირად და სწრაფად უნდა გადიოდნენ მეტოქის ფარქვეშ. „დიდების“ მოქმედებაში კი აქცენტირებული უნდა იყოს (და არა გადამწყვეტი) საჰაერო ბრძოლა.

ვიწრო სპეციალიზაცია კი არა, თამაშში სპორტსმენთა მრავალმხრივი გამოყენება — ასეთია თანამედროვე კალათბურთის გენერალური გზა. და ჩვენ არ გვაქვს უფლება ამ გზას გვერდი ავუაროთ.

**ვ. მღივანი**

## „ლოკომოტივის“ დუბლიორთა გამარჯვება

გუშინ თბილისში შედგა თბილისის „ლოკომოტივისა“ და ვოლგოგრადის „ტრაქტორის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:2.

# შვიდი ვაკანსია
# ბრძოლება შესარჩევი მატჩები

შვიდი ქვეყნის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა გუნდებმა უკვე მოიპოვეს ტოკიოში გამგზავრების უფლება. ესენი არიან უნგრეთის, რუმინეთის, მექსიკის, არგენტინის, ბრაზილიის, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის და მაროკოს ნაკრებები. ამათ გარდა, შესარჩევი თამაშების გარეშე ფინალურ ტურნირში, როგორც ცნობილია, დაშვებული არიან იუგოსლავიის, როგორც რომის ოლიმპიადის ჩემპიონის და ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორის — იაპონიის ფეხბურთელები.

ამრიგად, ცხრა მონაწილე ცნობილია. დარჩა კიდევ შვიდი ვაკანტური ადგილი. ვინ იბრძვის მათთვის?

აფრიკიდან, მაროკოსა და არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდების გარდა, ტოკიოში გაემგზავრება განის ან ტუნისის ნაკრები. პირველი მატჩი განის ფეხბურთელებმა მოიგეს (2:1).

აზიაში სამივე საგზური ვაკანტურია. გაიმართა მხოლოდ ორი თამაში. სამხრეთ კორეამ პირველი მატჩი მოუგო სამხრეთ ვიეტნამს, ირანმა კი — ინდოეთს. მესამე წყვილის — კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და ტაილანდის გუნდები ერთმანეთს ჯერ არ შეხვედრიან.

გაჭიანურდა კანდიდატების შერჩევა ევროპაში. შესარჩევი თამაშები მხოლოდ ორ ქვეჯგუფში დასრულდა. დანარჩენი სამი საგზური გათამაშდება ჩეხოსლოვაკია — საბერძნეთის, პოლონეთ — იტალიისა და სსრკ — გდრ-ის შეხვედრებში.

## შედეგი არ დამტკიცდა

ჩვენი გაზეთის 10 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ ამერიკელმა მძლეოსანმა ჯ. ფიშბეკმა 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში აშშ-ის ახალი რეკორდი დაამყარა და წლევანდელ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი აჩვენა — 8.33,2.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ფიშბეკის შედეგს არ დაამტკიცებენ, რადგან ხელმეორედ შემოწმებისას დისტანცია 60 მეტრით მოკლე აღმოჩნდა.

## სპორტულ მიმოხილვა

▲ ჰელსინკი. აქ მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. ასპარეზობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, შვეციის, გფრ-ისა და ფინეთის ნაკრები გუნდები. პირველ დღეს ხუთჭიდელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფარიკაობაში. საბჭოთა სპორტსმენები მასპინძლებთან წაგების (5:11) შემდეგ მეორე ადგილზე გავიდნენ. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა საბჭოთა ხუთჭიდელმა ე. სდობნიკოვმა.

▲ ბუდაპეშტი. უნგრელმა სპორტსმენებმა ჩაატარეს საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. ასპარეზობაში მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ ინგლისისა და გდრ-ის ხუთჭიდელები. პირად პირველობაში გაიმარჯვა ფ. ტიორეკმა (უნგრეთი)—4965 ქულა. უნგრელებმა სტუმრებს გუნდურ ჩათვლაშიც აჯობეს (14.082 ქულა). უნგრეთის გუნდი შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდა. ამორალური საქციელისთვის უნგრეთის ხუთჭიდის კავშირის პრეზიდიუმმა მსოფლიო ჩემპიონ ბალცოსა და ერთ-ერთ უძლიერეს ხუთჭიდელს მონის 1 წლით აუკრძალა შეჯიბრებაში მონაწილეობა. როგორც ჩანს, ამ ორ ხუთჭიდელს ვერ იხილავენ ტოკიოს ოლიმპიადაზე.

▲ ვენის „რაპიდის“ ფეხბურთელებმა ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ 3 ტურით ადრე დააგროვეს 39 ქულა და გაინაღდეს უძლიერესის სახელი ავსტრიაში.



ზაპოროჟიეს მეტალურგიულ ქარხანაში უყვართ ტურიზმი. აქ ყოველი მეორე მუშა მონაწილეობს ლაშქრობებში. ს უ რ ა თ ზ ე: კომკავშირელი ტურისტები — ნიშანმდებელი ე. ლატიი და მგლინავი ვ. ანტონოვი ლაშქრობაში.

ფოტო ა. კრასოვსკისა. (საკდესი).

## „სანტოსი“ და მისი პერსპექტივები

მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო გუნდმა, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელმა „სანტოსმა“ (ბრაზილია) ამას წინათ იმოგზაურა არგენტინაში. ბრაზილიელებმა მოუგეს კარგად ცნობილ კლუბებს „ბოკა ხუნიორსს“ (4:3) და „რესინგს“ (2:1), მაგრამ წააგეს „სანტა ფესთან“ (1:2), რომელსაც არგენტინაში გაცილებით ნაკლები პრესტიჟი აქვს.

არგენტინის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს „სანტოსის“ ტურნეს. მიმომხილველები აღნიშნავენ ახალგაზრდა მოთამაშეებს, პირველ რიგში, მოდესტოს, რომელიც შესაძლოა განთქმული მცველების ჯ. და ნ. სანტოსების მემკვიდრე გახდეს ნაკრებში.

საუცხოოდ თამაშობს „სანტოსის“ ახალი ფორვარდი პესკინიო.

თავდასხმისთვის კარგი შენაძენია შედეგიანობით განთქმული ალმირი.

ასეთი განახლებული შემადგენლობით „სანტოსს“ იმედი აქვს კიდევ მოიგოს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, შემდეგ კი იბრძოლოს საკონტინენტთაშორისო თასისთვის, რომელსაც ახლა მრისხანე პრეტენდენტი გამოუჩნდა — მილანის „ინტერნაციონალე“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

| № | მონაწილენი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ი. ბილეკი (უნგრეთი) | ● | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | * | | | | | | ½ | 4½ |
| 2 | ლ. ლენდიელი (უნგრეთი) | ½ | ● | ½ | ½ | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | | | | | | 1 | ½ | 10 |
| 3 | ს. რეშევსკი (აშშ) | ½ | ½ | ● | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | * | ½ | | | | | | ½ | 1 | ½ | 11 |
| 4 | ლ. ევანსი (აშშ) | 1 | ½ | 0 | ● | ½ | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | ½ | | | | | | ½ | ½ | 1 | 0 | 7½ |
| 5 | ზ. ვრანეშიჩი (კანადა) | ½ | 0 | 0 | ½ | ● | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | | | | | | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | 3½ |
| 6 | ბ. ივკოვი (იუგოსლავია) | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | ● | ½ | 1 | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | | | | | | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 12 |
| 7 | ჰ. როსეტო (არგენტინა) | ½ | 0 | 0 | 1 | 1 | ½ | ● | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | | | | | | ½ | 0 | 0 | 1 | ½ | 0 | ½ | 6½ |
| 8 | ბ. ლარსენი (დანია) | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 0 | 1 | ● | 1 | 1 | ½ | | | | | | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 14 |
| 9 | ო. კვინონესი (პერუ) | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | 0 | ● | 0 | | | | | | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | 1 | 1 | ½ | 0 | 6 |
| 10 | კ. დარგა (გფრ) | 1 | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 0 | 1 | ● | | | | | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | | 11 |
| 11 | გ. ტრინგოვი (ბულგარეთი) | ½ | 0 | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | ½ | | | ● | | | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | | 7½ |
| 12 | დ. ბრონშტეინი (სსრ კავშირი) | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | | | | | ● | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | | 13½ |
| 13 | მ. ტალი (სსრ კავშირი) | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | | | | | | ½ | ● | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 13½ |
| 14 | ლ. შტეინი (სსრ კავშირი) | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | | | | | | 1 | 0 | ½ | ● | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 12½ |
| 15 | ბ. სპასკი (სსრ კავშირი) | 1 | ½ | * | ½ | | | | | | 0 | 1 | ½ | ½ | ½ | ● | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 13 |
| 16 | ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი) | 1 | 1 | ½ | | | | | | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ● | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 13½ |
| 17 | ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია) | 1 | ½ | | | | | | 0 | 1 | ½ | 1 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ● | 1 | 0 | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | 10 |
| 18 | ა. ფოგელმანი (არგენტინა) | * | | | | | | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ● | ½ | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 6 |
| 19 | ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) | | | | | | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | ½ | ● | 0 | 1 | ½ | 1 | ½ | 10 |
| 20 | ი. პორატი (ისრაელი) | | | | | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | ● | 0 | 0 | | 0 | 4½ |
| 21 | ფ. პერესი (კუბა) | | | | ½ | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | ● | | | 0 | 3½ |
| 22 | პ. ბენკო (აშშ) | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | 1 | | ● | | | 6½ |
| 23 | ბ. ბერგერი (ავსტრალია) | | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | 0 | | | | ● | | 3 |
| 24 | ლ. პორტიში (უნგრეთი) | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | 0 | 1 | | | | ½ | 1 | 0 | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | | | ● | 11 |

# კორიგონტზეა

ამსტერდამის საზონათაშორისო ტურნირი დასასრულს უახლოვდება. — სათამაშო დარჩა მხოლოდ 5 ტური. მაგრამ „ბედნიერი ექვსეულის“ ვინაობა კვლავ უცნობი რჩება, თუმცა პრეტენდენტი ათამდეა, რაც კარგად ჩანს სატურნირო ცხრილიდან, რომელშიც ასახულია მდგომარეობა XVIII ტურის შემდეგ.

— ტურნირის რეგლამენტი წარმოუდგენლად მომქანცველია, — თქვა ბრონშტეინმა გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტთან საუბარში. — ვინც პარტიას გადადებს, მას შვიდი საათი უხდება თამაში. და ეს უკვე ემჩნევა ზოგიერთ ოსტატსა და დიდოსტატებსაც კი.

ჩვენი მოჭადრაკეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ვაჟკაცურად იტანენ უჩვეულო რეგლამენტს. უფრო მეტიც, თავდადებით, უკომპრომისოდ იბრძვიან გამარჯვებისთვის. მიუხედავად ამისა, დღემდე მაინც არ არის გარკვეული რომელ მათგანს ელოდება პრეტენდენტთა ტურნირის საგზური. ბევრია დამოკიდებული დასკვნითს შეხვედრებზე. თუ მხედველობაში მივიღებთ საბჭოთა მოჭადრაკეების მიერ აღებულ ტემპს, მაშინ ეჭვს მხოლოდ შტეინის შანსები იწვევს.

— უცხოელ მოჭადრაკეებს უჭირთ ჩვენთან თამაში, — ამბობს ბრონშტეინი. — ისინი ჯერ ჩემთან თამაშობენ, შემდეგ „ამანათი“ გადადის ტალთან, შტეინთან, სპასკისთან, და ბოლოს, სმისლოვთან. ჯერჯერობით ასეთი „დავიდარაბიდან“ უზარალოდ არავინ გამოსულა.

და მაინც საბჭოთა დიდოსტატებს დიდ მეტოქეობას უწევენ ლარსენი, რეშევსკი და ივკოვი, რომლებიც შესამჩნევად არიან დაწინაურებული.

— მე მხიბლავს ბენტ ლარსენის თამაში, — არ მალავს ბრონშტეინი. — თუმცა მას ელის ბრძოლა საბჭოთა დიდოსტატებთან...

ეს შეხვედრები მეტად საპასუხისმგებლოა ორივე მხარისათვის.

და კიდევ ათ დღეს ჰოლანდიის სოციალური უზრუნველყოფის კომპანიის შენობის მეთერთმეტე სართულის მყუდროებაში არ შეწყდება საჭადრაკო ბრძოლები. მაყურებლები, რომელთათვის ოთხი სართულით დაბლა ეწყობა პარტიების დემონსტრაცია, ჭეშმარიტად დაუვიწყარი „შეხლა-შემოხლის“ მოწმენი იქნებიან.

ვინ შევა ექვსეულში? აი, კითხვა, რომელიც დღეს ჭადრაკის ყველა მოყვარულს აღელვებს.

თ. გიორგაძე

# ფინალი!

## რ. მური — წლის საუკეთესო ფეხბურთელი

ინგლისის 1963-64 წლების საფეხბურთო სეზონის შედეგების მიხედვით სეზონის № 1 ფეხბურთელად გამოცხადებულია რობერტ მური, „უესტჰემ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების მარცხენა ნახევარმცველი.

რ. მური 23 წლისაა და ორი წლის მანძილზე ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 18 მატჩი. შარშან იგი მონაწილეობდა ნიუ-იორკის საერთაშორისო შეჯიბრებაში, სადაც აგრეთვე პირველ ფეხბურთელად იქნა აღიარებული. თავის დროზე მური ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანიც იყო, შარშან კი წარმატებით მონაწილეობდა „საუკუნის მატჩში“.

მიმომხილველთა აზრით მურს დიდი შესაძლებლობა აქვს მოხსნას განთქმული ინგლისელი ფეხბურთელის ბ. რაიტის რეკორდი, რომელმაც თავის ეროვნულ ნაკრებში 105-ჯერ ითამაშა. მური, ფაქტიურად, მხოლოდ ახლა იწყებს თავის სპორტულ კარიერას.

## ლელო თამაშები

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებისათვის.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)—„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი).

21 მაისით დათარიღებული ბილეთები ძალაშია 14 ივნისისათვის.

დასაწყისი 19 საათზე.

საქართველოს პირველობა. „სინათლე“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული).

თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის სტადიონი.

დასაწყისი 18 საათზე.

საწყლოსნო - სამოტორო სპორტი. თბილისის ზღვა. დოსააფი-ს რესპუბლიკური პირველობა. მონაწილეობენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისისა და ქუთაისის სპორტსმენები.

დასაწყისი 15 საათზე.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკური საბჭო და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. კიკნაძის მამის

**სამუელ მალაქიას ძე კიკნაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. კიკნაძეს მამის

**სამუელ კიკნაძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11208